

ბრძანების პროექტი

თბილისი

№ 06/03

“14“ “იანვარი“ 2015წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების
გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის
მე-3 პუნქტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14
მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/მაგისტრანტობის
კანდიდატებისათვის/სტუდენტებისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/სამაგისტრო
გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს
საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე”
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის №
1062 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 15 დეკემბრის № 1387 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ:

I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე ჩარიცხული იქნეს კანადის მოქალაქე იოლანდა მიშელ ბოლდვინი.

II. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2015 წლის 15 ოქტომბრამდე.

III. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს და უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას.

IV. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

V. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს ი. ავალიანს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

VI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი